საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/883

2011 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხა“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სამოქალაქო ავიაციის და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოებმა, ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის დარგში – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყონ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების ამ ბრძანებასთან შესაბამისობა.

3. არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისამდე:

ა) სამოქალაქო ავიაციის საგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის” მე-2 მუხლის „ო”-„უ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება;

ბ) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის” მე-3 მუხლის „ზ”-„კ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №1-1/2576 - ვებგვერდი, 08.12.2011 წ.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ქობალია

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №1-1/2576 - ვებგვერდი, 08.12.2011 წ.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის ბრძანება №1-1/938 - ვებგვერდი, 05.04.2012 წ.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 25 ივლისის ბრძანება №1-1/1561 - ვებგვერდი, 27.07.2012 წ.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №1-1/1675 - ვებგვერდი, 22.08.2012 წ.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1799 - ვებგვერდი, 17.09.2012 წ.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №1-1/246 - ვებგვერდი, 10.09.2013 წ.

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №1-1/307 - ვებგვერდი, 04.11.2013 წ.

8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1-1/391 - ვებგვერდი, 08.01.2014 წ.

დანართი

ტრანსპორტის სფეროს ტექნიკური რეგლამენტების ნუსხა

მუხლი 1. სახმელეთო ტრანსპორტის დარგის ტექნიკური რეგლამენტები

სახმელეთო ტრანსპორტის დარგის ტექნიკური რეგლამენტებია:

ა) „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშების ფორმა და დამზადების წესი“;

ბ) „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება“;

გ) „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობა“;

დ) „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები“;

ე) „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი“;

ვ) „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები“;

ზ) „სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ის ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესი“;

თ) „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“;

ი) „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“;

კ) საერთაშორისო გადაზიდვების მწარმოებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმები“;

ლ) „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პარამეტრების საკონტროლო მოწყობილობების გამოყენების წესი“;

მ) „მოთხოვნები ინდივიდუალური წესით დამზადებული (თვითნაკეთი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ“.

მუხლი 2. სამოქალაქო ავიაციის დარგის ტექნიკური რეგლამენტები

სამოქალაქო ავიაციის დარგის ტექნიკური რეგლამენტებია:

ა) „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესი“;

ბ) „სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის სახელმწიფო ნორმები“;

გ) „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 21 აგვისტოს გრძანება №1-1/1675 - ვებგვერდი, 22.08.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 30 ოქტომბრის გრძანება №1-1/307 - ვებგვერდი, 04.11.2013 წ.

მუხლი 3. საზღვაო ტრანსპორტის დარგის ტექნიკური რეგლამენტები

საზღვაო ტრანსპორტის დარგის ტექნიკური რეგლამენტებია:

ა) (ამოღებულია - 25.07.2012, №1-1/1561);

ბ) „სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესები“;

გ) (ამოღებულია - 30.12.13 №1-1/391);

დ) (ამოღებულია - 30.12.13 №1-1/391);

ე) (ამოღებულია - 14.09.2012, №1-1/1799);

ვ) „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ;

ზ) (ამოღებულია - 14.09.2012, №1-1/1799);

თ) (ამოღებულია - 09.09.2013 წ, №1-1/246);

ი) (ამოღებულია - 30.12.13 №1-1/391);

კ) (ამოღებულია - 14.09.2012, №1-1/1799).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის გრძანება №1-1/938 - ვებგვერდი, 05.04.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 25 ივლისის გრძანება №1-1/1561 - ვებგვერდი, 27.07.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის გრძანება №1-1/1799 - ვებგვერდი, 17.09.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის გრძანება №1-1/246 - ვებგვერდი, 10.09.2013 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1-1/391 - ვებგვერდი, 08.01.2014 წ.